

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 4 თებერვალი, 2005 წელი. №25 (885)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის თანამშრომლობა 2000 წლიდან იწყება



თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის მოსახლეობა თანასოფელს, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილეობის კანდიდატს, რაულ უსუპოვს შაბათს დაკრძალავს. "ადამიანი, რომელსაც სხვისი სიხარული უხაროდა და სხვისი უბედურება აწუხებდა," - ასე აფასებენ თანასოფლელები მათთვის საყვარელ ახალგაზრდას. ყველაზე მეტად კი გარდაცვლილის შობილებს ის აწუხებდა, რომ მათმა 25 წლის პოლიტიკოსმა შვილმა ქვეყნის საკეთილდღეოდ ბევრი რამის გაკეთება ვერ შეძლო.

A3



## მთავრობა ცდილობს, არ დაიბნას

სოფო ბაქია

საქართველოს პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ხელმძღვანელობას საკუთარ თავზე იღებს. "გარდაცვლილ მუშაობა იმ რიტმში, როგორც აქამდე იყო," - ეს არის პირველი და უმთავრესი დავალება, რომელიც ყველა მინისტრმა გუშინ უშუალოდ პრეზიდენტისგან მიიღო.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში, პრეზიდენტი მთავრობის საგანგებო სხდომას ინვესტ. "გარდაცვლილ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია... საქართველომ დაკარგა დიდი პატრიოტი, რომლის მთელი ცხოვრება ეძღვნებოდა ჩვენი ქვეყნის სამსახურს. მე დავკარგე ყველაზე ახლო მეგობარი, სანდო მრჩეველი და ყველაზე დიდი მოკავშირე," - ასეთი იყო პრეზიდენტის პირველი განცხადება. მან ქვეყნის მოსახლეობას კონსოლიდაციისა და ერთიანობისკენ მოუწოდებდა. პრეზიდენტმა და მინისტრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხსოვნას.

პრემიერ-მინისტრის გარეშე დარჩენილმა მთავრობამ პირველი დავალებები პრეზიდენტისგან გუშინ, საღამოს რვა საათისთვის მიიღო. მთავრობის სხდომაზე მიიღო. სხდომის დასრულების შემდეგ მინისტრებმა ჟურნალისტებისთვის მცირე ბრიფინგი გამართეს.

ბაზრკაძე A2 ბაკრაძე

## ურთულესი ბამოცდა

გუშინ ოპოზიციური სექტორის ბასოლუტურმა უმრავლესობამ ზურაბ ჟვანიას სიკვდილს "ქვეყნისათვის უდიდეს დარტყმად და გამოცდად" შეაფასა. ოპოზიციონერები, ძირითადად, ზურაბ ჟვანიას პიროვნებაზე საუბრობდნენ და მისი სიკვდილის მიზეზის თაობაზე კომენტარებისაგან თავს იკავებდნენ.

გამონაკლისი "კონსერვატორების" ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური და ახლად შექმნილი პარტია "წინ, საქართველოს" დამფუძნებელი ირაკლი ბათიაშვილი აღმოჩნდნენ, რომელთაც, ჟურნალისტებთან საუბრისას, პრემიერ-მინისტრის საეჭვო გარემოებაში გარდაცვალების თაობაზე გარკვეული მინიშნებები გააკეთეს.

"პრემიერ-მინისტრი შიდა სამთავრობო დაპირისპირების მსხვერპლი არ არის, რადგან ქვეყნის მთავრობა ერთიანი გუნდით მოქმედებდა. მხოლოდ გუშინ პრემიერ-მინისტრის მონაწილის თაობაზე ოფიციალური ვერსიის დაჯერება მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როცა პროკურატურა მოკვლევას დაასრულებს. ხელისუფლება ვალდებულია, ბოლომდე შეისწავლოს ზურაბ ჟვანიას დაღუპვის მიზეზები და გაარკვიოს, ხომ არ ურევია მომხდარში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ხელი. ჩემთვის საკვებით დამაჯერებელია ის ვერსია, რასაც ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს, თუმცა, ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ვალდებული ვართ, გადავამოწმოთ ყველა შესაძლო ვარიანტი," - ასეთი სახის განაცხადება გააკეთა ზვიად ძიძიგურმა. იმის მიუხედავად, რომ "კონსერვატორები" ზურაბ ჟვანიას აქტიური პოლიტიკური ოპონენტები იყვნენ, ძიძიგურმა გულწრფელი მწუხარება გამოხატა "ახალგაზრდა, ენერგიული ადამიანის ტრაგიკულად დაღუპვის გამო."

ბაზრკაძე A7 ბაკრაძე

## ბარდაცვალა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია

გუშინ, გამთენიისას, გარდაცვალა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. წინასწარი ვერსიით, გარდაცვალების მიზეზად ნახშირჟანგით მოწამვლა სახელდება. "ზურაბ ჟვანიას სიკვდილით დაკარგვა ყველაზე ახლო მეგობარი, ყველაზე სანდო მრჩეველი და მოკავშირე. ახლა ჩემი და ჩემი ოჯახის ფიქრები ზურაბის მეუღლესთან, დედასთან და სამ მშვენიერ შვილთან არის," -

განაცხადა მთავრობის საგანგებო სხდომაზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომლის შეფასებით, "ზურაბ ჟვანიას დაკარგვა დიდი დარტყმაა როგორც ქვეყნისათვის, ასევე პირადად პრეზიდენტისთვის". მიხეილ სააკაშვილმა ყველას სიმტკიცისკენ მოუწოდა და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე აიღო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, წმინდა სინოდის სახელმძღვანელოთ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ტრაგიკული დაღუპვის გამო მწუხარება გამოთქვა და საქართველოს მოსახლეობას და ხელისუფლებას წარმოადგენლებს მოუწოდა, მხარში ამოუდგნენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. მისი თქმით, ქართველი ხალხი ამ დიდ განსაცდელს გაუძლებს და ქვეყანაში მოვლენები მშვიდობიანად განვითარდება.

გუშინ დილით გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ ზურაბ ჟვანიას გვამი დილის 3 საათსა და 30 წუთზე დაცვის სერვისებმა ნახეს რაულ უსუპოვის სახლში, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს ხანში, ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილედ უნდა დანიშნულიყო.

ბაზრკაძე A3 ბაკრაძე

## ტრივიალური უხადური შემთხვევა და ლოგიკური კითხვები

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ბუნებრივი აირის არასრული წვის შედეგად დაიღუპა - ასეთი ვაზლავთ სამართალდამცველი ორგანიზაციის პირველი პირების მიერ ოფიციალურად გავრცელებული, შემდგომში სასამართლოსამედიცინო ექსპერტების მიერ დადასტურებული ვერსია. მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების თაობაზე გაკეთებულ პირველივე განცხადებებში იოტისოდენა ეჭვიც კი არ გამოთქმულა მისი ძალადობრივი სიკვდილის შესახებ, ეჭვები მაინც გაჩნდა. ეს ბუნებრივიცაა - საზოგადოებას ძალზე მყარი არგუმენტები სჭირდება იმის დასაჯერებლად, რომ ისეთი დონისა და გავლენის პოლიტიკური ფიგურა, როგორც ზურაბ ჟვანია იყო, ტრივიალური უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ასეთ არგუმენტებში კი ვერ გამოდგება ამ ეტაპზე არსებული ერთადერთი საბუთი - სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის გამოიყენება არსებულ ვერსიას ეთანხმება ხოლმე. გამოძიებას, რომელსაც საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი აწარმოებს, სხვა არაერთი მტკიცებულების მოძიება მოუწევს საიმისოდ, რომ პრემიერ-მინისტრის დაღუპვასთან დაკავშირებული ყველა ეჭვი გააქარწყლოს. რაც მთავარია, ეს პროცესი მაქსიმალური გამჭვირვალობით უნდა წარიმართოს.

სოფიკო ჩხიკიძე ინგა ალაშვიძე

### ოფიციალური ვერსიის ირგვლივ

დაახლოებით, ღამის 12 საათზე, მეგობართან და თანაპარტიელთან, 25 წლის რაულ უსუპოვთან, საბურთალოს ქუჩის N53-ის პირველ საართულზე მდებარე ნაქირავე ბინაში მისულ ზურაბ ჟვანიას, პირადი დაცვა გარეთ ელოდა. როდესაც პრემიერ-მინისტრს გამოსვლა შეაგვიანდა და არც სატელეფონო ზარს პასუხობდა, ადგილზე დარჩენილმა დაცვის ერთადერთ-

მა ნეგრმა (სად და რატომ ნავიდნენ დაცვის დანარჩენი წევრები, ამას, ალბათ, გამოძიება გაარკვევს) რკინის გისოსებისა და ფანჯრის მინის გამომტყვევით ბინაში შეაღწია, სადაც უკვე გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი დახვდა - ასეთი განცხადება გუშინ, დღის ბოლოსთვის მოპოვებული ინფორმაციის მოკლე მინიშნაა.

ბაზრკაძე A7 ბაკრაძე

აზიანი		
	4/2	5/2
თბილისი	-2 ☀	-4 ☀
ქუთაისი	5 ☁	4 ☁
ბათუმი	9 ☁	9 ☁
სოხუმი	4 ☁	4 ☁
ფოთი	8 ☁	8 ☁
თელავი	-6 ☀	-6 ☀
ზუგდიდი	7 ☀	7 ☁
გორი	-7 ☀	-7 ☀
ახმეტა	-5 ☀	-6 ☀
ჭიათურა	-2 ☁	-2 ☀
ბაზრა	4 ☀	3 ☁
სამხრეთი	6 ☁	6 ☁

  

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	1.8200
ევრო	2.3685
ბრიტანული სტრლინგი	3.4327
რუბლი	0.0650

A	B
აზიანი	A2 რუბლი B2
პოლიტიკა	A3 რუბლი B3
ტანდარი	A4 სკოლი B4
ტანდარი	A5 სკოლი B5
აზიანი	A6 ავტომობილი B6
სამართალი	A7 TV პროგრამა B7
პროექტი	A8 სხვადასხვა B8

ისარგებდეთ & 24 საათი

იკითხეთ 24 საათი

ინტელ B3 ბაკრაძე

ბაზრკაძე A2 ბაკრაძე



# გარდაიცვალა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია



პრემიერ-მინისტრის ცხედარი სახლში მისვენეს.

## პრემიერ-მინისტრის ცხედარი სახლში მისვენეს

რალუმმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ დაათვალიერა. მისი განცხადებით, გამათხოვებელი გამოყენებული იყო კუსტარული ტექნოლოგიები. კერძოდ, გამწოვი მილის ნაცვლად, დამონტაჟებული იყო წყლის მილი.

რაც შეეხება უსუპოვის მეზობლებს, ისინი აცხადებდნენ, რომ ზურაბ ჟვანიას ვიზიტი არ შეუნიშნავთ.

გუშინ, შუადღისთვის პრემიერ-მინისტრის ცხედარი რესპუბლიკური საავადმყოფოდან მისი დედის საცხოვრებელ ბინაში, შარტავას ქუჩაზე გადაასვენეს.

პოლიტოლოგი ვაწა ნოდია მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შემდეგ ქართული პოლიტიკა პრინციპულად არ შეიცვლება, თუმცა "ისეთი პოლიტიკური ფიგურის, როგორც ზურაბ ჟვანია იყო, შემცვლელი რეალურად არ არსებობს". ნოდია ასაზრით, გამოიცხადებდა, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებას საქართველოს ხელისუფლებაში რაიმე არეულობა მოჰყვება. მისი თქმით, მართალია, იყო გარკვეული დაპირისპირება "ნაციონალისტების" და "დემოკრატების" შორის, მაგრამ ამ დაპირისპირების და უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ჟვანიას, როგორც ძლიერი პოლიტიკური ფიგურის, ფაქტორი იყო, ამჟამად კი პრემიერის მონიწიანადგებებს სამიზნე აღარ ჰყავთ.

გუშინვე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების ფაქტის გამოხატვის თვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან დაკომპლექტებული საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვეს. ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს იურიდიულ საკითხებში დამოუკიდებელმა ექსპერტმა ზაქარია ქუცნაშვილმა და ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ.

საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ნინაალმდეგ დივერსიის ან ტერაქტის განხორციელების ვერაპატიცხა.

"ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება შემთხვევითი იყო. რამდენადც მე ვიცი, იმ ოჯახში, სადაც გარდაიცვალა, ჟვანია ხშირად არ დადიოდა," - აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

ექსპრეზიდენტის განცხადებით, მან სამი ტერაქტი გადაიტანა და იცის, რომ პოლიტიკური მოღვაწეების ნინაალმდეგ ტერაქტებს თვეების განმავლობაში ამზადებენ. "არა მგონია, დღეს ასეთ მოვლენასთან გვეკონდეს საქმე," - დასძინა მან.

მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად, ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული სიკვდილის გამო მწუხარება სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელებმაც გამოთქვეს. სამხრეთ ოსეთის

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დე-ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანია ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების მომხრე იყო და "დიდი ძალისხმევა გაილა 2004 წლის ზაფხულში ქართული აგრესიის შესაჩერებლად".

კოკოითიმ იმედი გამოთქვა, რომ ჟვანიას დაღუპვა მოლაპარაკებების პროცესზე უარყოფითად არ აისახება.

ზურაბ ჟვანიას ოჯახს ასევე მიუსამძიმრა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა, შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევმა. ჩოჩიევის შეფასებით, ზურაბ ჟვანია ქართული ხელისუფლების იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელსაც შეიძლება "მშვიდობის პარტია" ეწოდოს.

გუშინ ქუბურხინჯში გამართულ შეხვედრაზე ქართულ მხარეს სამძიმარი გამოუცხადა, აგრეთვე, გალის აფხაზური ადმინისტრაციის საკრებულოს თავმჯდომარემ რუსლან ქიმშირაძემ. მისი განცხადებით, ზურაბ ჟვანია იყო ერთ-ერთი გამოკვეთილი პოლიტიკური ფიგურა და მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი ზარალია საქართველოსთვის...

შაბათს, 5 თებერვალს ზურაბ ჟვანიას სამების საკათედრო ტაძარში დაასვენებენ, კვირას კი შაბათს გვერდით დაკრძალავენ.

მომზადდა ვიორგი ახანიშვილმა

# ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის თანამშრომლობა 2000 წლიდან იწყება

## ზურაბ ჟვანია კახეთში

თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის მოსახლეობა თანასოფელს, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილეობის კანდიდატს, რაულ უსუპოვს შაბათს და კრძალავს. "ადამიანი, რომელსაც სხვისი სიხარული უხაროდა და სხვისი უბედურება აწუხებდა," - ასე აფასებენ თანასოფელები მათთვის საყვარელ ახალგაზრდას. ყველაზე მეტად კი გარდაცვლილის მშობლებს ის აწუხებდა, რომ მათმა 25 წლის პოლიტიკოსმა შვილმა ქვეყნის საკეთილდღეოდ ბევრი რამის გაკეთება ვერ შეძლო.



რაულ უსუპოვი.

რაულ უსუპოვი 1979 წლის 21 დეკემბერს, იაშა უსუპოვის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, 1996 წელს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იგი ჯერ კიდევ მესამე კურსზე იყო, როცა პოლიტიკაში ჩაერთო. მან კარიერა ჯერ კიდევ "მოქალაქეთა კავშირის" დროს დაიწყო. კახეთში აქტიური პარტიული საქმიანობის შემდეგ, მედია მეზღვრის რეკომენდაციით, რაულ უსუპოვი "მოქალაქეების" მაშინდელ გენერალურ მდივანს - ედვარდ სურმანიძეს თბილისში გადაჰყავს და პარტიის რეგიონული სამსახურის ინსპექტორად ნიშნავს. "რაული პრესექტიული ახალგაზრდა იყო, რომლის იმედიც ყველას გვექონდა. თავისი აქტიურობით კი იგი ყველა მოსწონდა. იგი პარტიული იყო და თუ საჭირო იქნებოდა, სამსახურს კეთილდღეობისთვის თავსაც განირიცხავდა," - ასეთ შეფასებას აძლევს რაულ უსუპოვს ედვარდ სურმანიძე.

ალგაზრდების კავშირის თავმჯდომარედ ინიშნება, შემდეგ კანცელარიაში გადაჰყავთ. ბოლოს იგი სახელმწიფო მინისტრ ზინაიდა ბესტიასთან თანამშრომლად მუშაობდა და ეროვნულ ურთიერთობებს და ინტეგრაციის საკითხებს კურირებდა.

როგორც ყარაჯალელები ამბობენ, რაულს თანამდებობის პირი არც ერთი ამხანაგი თავის სოფელში არ ჩამოუყვანია, თუმცა იგი სოფელზე მაინც ზრუნავდა. "იგი ძალიან ძვირფასი ადამიანი იყო ჩვენი. რასაც გვირდებოდა, ასრულებდა. მისი მომდურავი არავინ ყოფილა," - ამბობენ რაულ უსუპოვის თანასოფელები, რომლებმაც რაული სულ ბოლოს, ორი დღის წინ ნახეს, როცა თავისი ცოლ-შვილი ყარაჯალაში მოიყვანა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ რაულთან არავის არანაირი უთანხმოება არ ჰქონია. ზურაბ ჟვანიასთან ახლო ურთიერთობებს კი ისინიც აღასტურებენ. როგორც რაულის პაპამ განცხადებდა, მისი შვილიშვილი გუბერნატორის მოადგილედ ჯერ არ იყო დანიშნული, ჟვანიას სტუმრობის მიზეზადაც სწორედ ამას ასახელებს. "ასე უთქვამს, რასაც ზურა მეტყვობს, იმას გააკეთებო. ალბათ, მათი შეხვედრა ამიტომ შედგა ჩემი შვილიშვილის სახლში," - ამბობს გარდაცვლილის პაპა.

უსუპოვების ოჯახს თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა მამაცაშვილმა გუშინვე მიუსამძიმრა. მან განაცხადა, რომ რაულ უსუპოვის დაკრძალვის ხარჯებს რაიონის გამგებმა გაიღო. რაულ უსუპოვი საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ახ-

რულ უსუპოვი მალე ჟვანიას გუნდის აქტიური წევრი ხდება. მათ შორის ურთიერთობა სწორედ 2000 წლიდან იწყება. 2 ნოემბრის არჩევნების წინ, როცა ზურაბ ჟვანიამ პოლიტიკური პარტია "დემოკრატები" დააფუძნა, რაულ უსუპოვი ისევ რეგიონულ ინსპექტორად დანიშნა. იგი თელავში პარტიის რაიონული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელიც ხდება და ამის გამო მას მუშაობა, 2 ნოემბრის და ვარდების რევოლუციის წინა დღეებში, კახეთში უწევდა. ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, რაულ უსუპოვი საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ახ-



გლოჯა უსუპოვების ოჯახში.

საქართველოს ტელეკომი  
TELECOM GEORGIA

ტარიფი ყველგან ერთნაირია, აირჩიე ხარისხი  
საქართველოს ტელეკომი

# 8-10

ნამოზრძი დამრგვალება  
უსწრაფსი კავშირი  
საუკეთესო სერვისობა

ევროპა - 70 თეთრი  
აშშ - 50 თეთრი  
რუსეთი - 50 თეთრი

თბილისი, რუსთაველის 31  
ტელ. 99 91 97  
www.telecom.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის  
შეტყობინება  
სახაზინო ვალდებულებების  
აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 8 თებერვალს, გამოტანილ იქნება N4 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 9 თებერვალს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგინილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 9 თებერვლის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოკვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი განცხადებები უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის საგულდებლო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

ამერიკის საელჩო თბილისში აწარმოებს ინფორმაციის შეგროვებას მებაღეობა-განმანათლებლობის კომპანიების შესახებ.

დაინტერესებულ კომპანიებს ვთხოვთ მოგვანდონ ინფორმაცია თვიანობის კომპანიის შესახებ ა.წ. 18 თებერვალამდე, შემდეგ მისამართზე: სასტუმრო შერატონ მეტეხი, მე-5 სართული, USAID-ის მისაღები.



ბანკები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს მდელიკაინტაგის შესყიდვაზე რეკვიზიტები - რუსთაველის გამზირი N30, 0146 თბილისი

Table with 5 columns: N, მისანივდებელი საქონლის მოკლე დახასიათება, ლოტი N1, რაოდენობა, მინოდების ადგილი, მინოდების გრაფიკული ვადები. Contains 31 rows of lot details.

Table with 5 columns: N, მისანივდებელი საქონლის მოკლე დახასიათება, ლოტი N2, რაოდენობა, მინოდების ადგილი, მინოდების გრაფიკული ვადები. Contains 5 rows of lot details.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2005 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მიერ ნივსნარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მინოდებს გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოადგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით), 2005 წ. 20-21 თებერვალს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი N30, ოთახი N62ა ტელ: - 75-83-35 საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- იურიდიული პირის სახელი;
- ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარებს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- ლიცენზიის - ზემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტების (ლოტების მიხედვით) რეალიზაციაზე, გაცემული შესაბამისი უწყების მიერ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყადაღი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემა მათ მათ სატენდერო მისამართების (500 ლ.) გადახდის შემდეგ, 2005 წლის 23-24 თებერვალს 1800 საათამდე.

სატენდერო მისამართების საბანკო რეკვიზიტებია: ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსუქცია ა/ა N507121303, ერევნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3133. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მითითდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მისამართები (500 ლ.)

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი სატენდერო ნინადდება თითოეულ ლოტზე დაზღვრული კოვერტით ზემოთ ჩამოთვლილ მისამართზე. ლოტი გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებულად.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემა მათ შემდეგ მისამართზე - თბილისი, რუსთაველის გამზირი N30, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ოთახი N62ა. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანი ტელ: - 75-83-35 რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 62ა.

დამატებითი ინფორმაცია და მითითებული რეგულირება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

- საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";
- დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";
- საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ"

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო ნინადდებებს ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შემთავაზებული სატენდერო ნინადდების ფასი აღემატება უცხოელ პრეტენდენტის სატენდერო ნინადდების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტს.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მენამდებებს, თუ მათ მიერ შემთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოების ქვეყნის სერტიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-ე მუხლისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

Application form with 13 numbered questions in Georgian regarding business registration, taxes, and legal status. Includes fields for name, address, and contact information.

Advertisement for 'სუსტი რგოლი' (Weak Link) with an image of a broken chain link. Text includes 'გადაცემა სუსტი რგოლი' and 'მოთაბაშის ანაკატა'.









მიზანი ერთია, მხოლოდ ხარისხი

უეფას ახალი პროექტი ტალინში დამტკიცდება

კვირის TV პროგრამა

B2

B4

B7

# ტრაბედია და პასუხისმგებლობა

მანა ჭალაბანიძე

მისი პოლიტიკური კარიერა სწორედ ოპოზიციონერობით დაიწყო, გაგრძელდა ხელისუფლებაში და როცა ძალაუფლების მწვერვალამდე თითქოს ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი, კვლავ მოუწია ოპოზიციის დაბრუნება. ვერც მისი პოლიტიკური ოპონენტები, გნებავთ, პიროვნული არაკეთილმოსურსენი ვერ უარყოფდნენ, რომ ის იყო პოლიტიკოსი ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით. ერთნაირად თავისუფლად მინიშნულირება კულუარებშიც და ლია პოლიტიკაშიც. დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში ერთადერთი თუ არა, ერთერთია, ვისაც ჰქონდა შორს ჭერების უნარი, პოლიტიკური ტექნოლოგიების ზედმინეგნითი ცოდნა. ბატონი ზურაბ ჟვანია ხშირად იყო ჩვენი გაზეთის სტუმარი, განსაკუთრებით ოპოზიციის მოზომილი დროს, და ყოველთვის საინტერესო და აქტუალური იყო მისი მოსაზრებების მოსმენა. აქ მოყვანილი ციტატებიც ფრაგმენტებია მისი ინტერვიუებიდან. ზურაბ ჟვანია ნებისმიერ ვითარებაში მოზომილი პოლიტიკოსი იყო. ამას ხელი არ შეუშლია, გადაეცა რადიკალური ნაბიჯები და გადადგმარყო პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან, რომელიც მისი თაობის ყველა პოლიტიკოსისთვის სანატრელი და უმეტესობისთვის მიუღწევადი თანამდებობა იყო. გარდა ამისა, ის გახლდათ პირველი ქართველი მაღალჩინოსანი პოლიტიკოსი, რომელიც საჭიროების გამო შეხვდა არძინბას - "ადამიანს, რომელიც ჩემთვის, როგორც ქართველისთვის ყველაზე უფრო საშიშელ მტერს და მტარავს განასახიერებდა. პოლიტიკოსის საქმეა, იპოვოს გამოსავალი დიალოგის გზით და გადაწყვეტილებები იმგვარად მიიღოს, რომ თავისი ამომრჩევლების, თავისი თანამოქალაქეთა პრობლემები მოაგვაროს." - ეს თავად ზურაბ ჟვანიას სიტყვებია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მისი მხარდამჭერი აგრეთვე იყო საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი, სხვადასხვა ასაკისა და მათ შორის ისინიც, ვინც კომუნისტური ეპოქიდან მოყოლებული, არსებული წყობისა და ხელისუფლების წინააღმდეგ საუბრებით მხოლოდ სამზარეულოებში იხებდნენ გულს.

- "ეს არის ძალზე ფრთხილი კატეგორია ადამიანებისა, ვინც ძალზე სათუთად ეკიდება მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებას. ერდება იმას, რომ მათი სახელი, თუნდაც უნებლიეთ, არ იყოს არასწორად გამოყენებული... მათ სჯერათ ჩვენი გულწრფელობის, სჯერათ იმისი, რომ ჩვენს პრინციპულობასა და უკომპრომისობას სწორად ვაზავებთ იმ ზომიერებასთან, რომლის გარეშეც პოლიტიკა წარმოუდგენელია." - ამბობდა მათ შესახებ ბატონი ზურაბი.



ჟვანიას ინტელიგენტური მანერები და ლათინიზმებით გაჯერებული ფრაზები ყველაზე ნაკლებად შეესაბამებოდა 80-იანელთა ეროვნული ლიდერის ტიპაჟს. თავისი წარმატებული პოლიტიკური კარიერის მანძილზე ის ყოველთვის თანამშრომლობას არჩევდა კონფრონტაციას და მძაფრ დაპირისპირებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიდიოდა, როცა თავად ხელისუფლება ამბობდა უარს თანამშრომლობაზე.

- "თქვენ იცით, დიდხანს ვიყავი შევარდნაძის ორბიტაზე. 6 წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, მისი მარჯვენა ხელი ვიყავი. მქონდა ილუზია, რომ ბევრი რამის შეცვლას შევნიდან შევძლებდი... შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, მისი ოპოზიციის ვიყავი. თუმცა, როგორც მისი ოპონენტები, მაინც ვთამაშობდი იმ თამაშის წესებით, რასაც შევარდნაძე გვთავაზობდა. დღეს ერთხელ და სამუდამოდ, მკაფიოდ ვამბობთ უარს ამ თამაშის წესებზე," - ესეც ფრაგმენტია ჩვენი გაზეთისთვის მოცემული ინტერვიუდან.

ჟვანია სულ სხვა შიშის ზარს სცემდა წინა ხელისუფლებას. პრეზიდენტის და ხელისუფლების წარმომადგენლებს, მზად იყვნენ ნასულიყვნენ სერიოზულ სამოქალაქო კონფრონტაციას.

- "შეცდომა იყო ის, რომ დიდხანს მჯეროდა, ედუარდ შევარდნაძე რეფორმების ბოლომდე მიყვანისთვის იყო განწყობილი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ სხვადასხვა სახელისუფლებო ჯგუფების დაპირისპირებისას შევარდნაძე საბოლოო არჩევანს იმ ჯგუფების სასარგებლოდ გააკეთებდა, ვინც საქართველოსათვის პროგრესს ნამდვილად არ განასახიერებენ..."

- "დღეს, როდესაც არ მიპყრია სახელისუფლო ბერკეტები და აღარ ვარ მეორე პირი ქვეყანაში, ბევრად მეტ ძალას ვგრძნობ სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად, ვიდრე პარლამენტში ჩემი თავმჯდომარეობის ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში."

ქვემოთ მოყვანილი შედარებით ვრცელი ფრაგმენტი არის ინტერვიუდან, რომელიც ზურაბ ჟვანიამ ჩვენს გაზეთს 2002 წლის 30 ოქტომბერს მისცა:

- "ჩემი გადადგომის შემდეგ (იგულისხმება გადადგომა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან) ორი-სამი თვე ინერციით კიდევ გრძელდებოდა ეს ისტერიკული შიში ჩემს მიმართ. ორი წელი გავიდა და, სამწუხაროდ, არც ხელისუფლებაში და არც სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებში მყოფ ჩემს ოპონენტებს არ განელებიათ საშინელი შიში ჟვანიას ფაქტორის მიმართ. ერთხელ, ჩერიჩის მისმა მეუღლემ ჰკითხა - რატომ არის, რომ ასე საშინლად გლანძლავენო. მან ღიმილით უპასუხა - მხოლოდ იმიტომ, ძვირ-

ფასო, რომ ჩემი ძალიან ემინათო... მხოლოდ ამის გახსენება შემიძლია.

ცოტა ხნის წინ, ნახევრად ხუმრობით ყველა იმ ბრალდების ჩამოთვლას ცვდილობდი, რაც ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში ჩემი მისამართით გაისმა - წალკის წყალსაცავის აფეთქებას რომ ცვდილობდი, ენერჯოკრიზისი რომ მოვაწყვე, რომ ვარ ერთდროულად შეერთებული შტატების და რუსეთის აგენტი, რომ საქართველოში ერთდროულად სომხებსაც ვლობირებ და თურქებსაც... საკმაოდ სასაცილო სია გამოვიდა.

- რატომ ხდება ასე?

- შიში - სხვა ახსნა არა მაქვს. თუმცა, ეს პრობლემას აღარ მიქმნის. საზოგადოება შეეჩვია ამ ასპურდს და თავიდან თუ როგორღაც რეაგირება და მორიგი სისულელის საპასუხოდ კითხვები იბადებოდა, დღეს ეს ჩემი პოლიტიკური საქმიანობის თანხლები სამწუხარო ატრიბუტი გახდა.

ჩემმა ოპონენტებმა შექმნეს ნამდვილი მითი უძლეველი, ყოველისშემძლე, საშინლად ჭკვიანი ჟვანიას შესახებ. კიდევ ერთ ცნობილ ისტორიას გავიხსენებ - როდესაც ტალეირანი გარდაიცვალა, პარიზის სალონებში აღამიანები ერთმანეთს ეკითხებოდნენ - ნეტავ, რისთვის დასჭირდა ამის გაკეთება... ნებისმიერი ჩემი ნაბიჯი და განცხადება პანკას ინვეს და მიხარია, რომ ჩემს ოპონენტებს ასეთი მაღალი წარმოდგენა აქვთ ჩემს შესახებ."

ადამიანი, რომელიც იყო ერთერთი უძლიერესი ლიდერი პატარა ქვეყნისა, რომელმაც სერიოზული დემოკრატიული განაცხადი გააკეთა, იღუპება სრულიად ბანალური მიზეზით, ბუნდოვან ვითარებაში.

"ქართული პოლიტიკის მთავარი პრობლემა ყოველთვის წარმოუდგენელი დაქსაქსულობა იყო. მინდა, დღეს განსხვავებულები ვიყოთ და დავინახოთ, რომ საქართველოს კალენდარზე ძალიან მნიშვნელოვანი წელია," - თქვა ცოტა ხნის წინ ზურაბ ჟვანიამ. ამ ქვეყანაში აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების გამო საზოგადოებაში გაჩენილ ყველა შეკითხვას. ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს ტრაგედიის ყველა დეტალი, რადგან მსგავსი ფაქტის მიმართ ხელისუფლების პოზიცია უნდა იყოს არა, უბრალოდ, პოლიტიკური პოზიცია, არამედ ზნეობრივიც. სხვაგვარად ვერაფრით ვერ ავაშენებთ დემოკრატიულ საზოგადოებას და ქვეყანას სამუდამოდ დავამორეცხვებთ ოჯახს. და თან, ტალეირანისგან განსხვავებით, ზურაბ ჟვანიას ეს ახლა ნამდვილად არ სჭირდებოდა.















